ბრძანება:**ბ34. 34230606**

თარიღი:**01/03/2023**

მცხეთის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 76-ე მუხლის მე-3 პუნქტის და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის საფუძველზე

ვბრძანებ

1. დამტკიცდეს:

ა) მცხეთის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით სამუშაო ჯგუფი დანართი 1-ის შესაბამისად.

ბ) 2023-2024 წლების მუნიციპალიტეტის შიდა საბიუჯეტო კალენდარი დანართი 2-ის შესაბამისად.

გ) საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მოსაწოდებელი განაცხადის ფორმები მე-3 და მე-6 დანართების შესაბამისად.

2. დაევალოს საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს ბატონ ილია ციციშვილს, ერთი თვის ვადაში შეადგინოს:

ა) საბიუჯეტო კალენდართან (დანართი 2) შესაბამისი საბიუჯეტო ორგანიზაციებთან შეხვედრების განრიგი.

ბ) ადგილობრივი თვითმმართველობის პრიორიტეტების ნუსხა.

გ) კითხვარი მოქალაქეთა გამოკითხვისთვის.

დ) ინსტრუქცია მოქალაქეებისგან ახალი პროგრამების ინიციირების უზრუნველსაყოფად.

ე)რეკომენდაციები ახლად შემოთავაზებული პროგრამების პრიორიტეტულობასა და ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით.

ვ)წლიური ბიუჯეტისა და პროგრამების შესრულების ანგარიშის ფორმები მე-7-8 დანართების შესაბამისად.

3. საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა ადმინისტრაციულ სამსახურთან ერთად უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის შემუშავებასთან დაკავშირებით სამუშაო ჯგუფის კოორდინაცია და საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის შესაბამისი სწავლების ორგანიზება.

4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „მცხეთის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების პრიორიტეტების

დოკუმენტის მომზადების თაობაზე“ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 1 მარტის N დ-34 3423060001 დადგენილება.

5. ბრძანება ძალაშია გაცნობისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონულ სასამართლოში მისი გაცნობიდან 1 (ერთი თვის ვადაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. N17).

დიმიტრი ზურაბიშვილი

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი